თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3823992

ნომერი: AR1571104

თარიღი : 17.01.2018

გაცემის თარიღი : 15.02.2018

გაცნობის თარიღი : 16.02.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გუდამაყრის ქუჩა N25 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო სხირტლაძე პ/ნ 01007015559
- თბილისი ვ.ბაგრატიონის ქ. N 32

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 იანვრის №2406900 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 17 იანვარს №AR1571104 განცხადებით მომართა ნინო სხირტლაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 28

იანვრის №2406900 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 იანვრის №2406900 ბრძანებით, შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ნაძალადევი, გუდამაყრის ქუჩაზე, N25, ნინო სხირტლაძისა და მიხეილ სხირტლაძის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.12.06.015.014), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და 2016 წლის 29 იანვრის №2422273 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 10 თებერვლიდან 2017 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით.
სამსახურის 2017 წლის 13 ნოემბრის №3665319 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 იანვრის №2406900 ბრძანებაში, კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირდა 1838.3 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად 1130.1 კვ.მ, საზაფხულო ფართობად 211.1 კვ.მ.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 იანვრის №2406900 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებზე არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ: 2016 წლის 28 იანვრის №2406900 ბრძანებით შეთანხმებული 0.00, +2.90, +6.20, +9.50 და +12.80 ნიშნულებზე მდებარე გეგმების 2018 წლის 17 იანვრის №AR1571104 განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი 0.00, +2.90, +6.20, +9.50 და +12.80 ნიშნულებზე მდებარე გეგმებით ჩანაცვლებას.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი გეგმები შეადარა შეთანხმებულ საპროექტო გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ გეგმებზე არასწორად იქნა ასახული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 იანვრის №2406900 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 იანვრის №2406900 ბრძანებაში, კერძოდ: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 იანვრის №2406900 ბრძანებით შეთანხმებული 0.00, +2.90, +6.20, +9.50 და +12.80 ნიშნულებზე მდებარე გეგმები ჩანაცვლდეს 2018 წლის 17 იანვარს №AR1571104 განცხადებაზე წარმოდგენილი 0.00, +2.90, +6.20, +9.50 და +12.80 ნიშნულებზე მდებარე გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 იანვრის №2406900 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 იანვრის №2406900 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.